ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1675743

ნომერი: AR1275881

თარიღი : 30.12.2014

გაცემის თარიღი : 09.01.2015

გაცნობის თარიღი : 09.01.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ ადეიშვილი პ/ნ 61001014045
- ბათუმი მ.ლერმონტოვის ქ. N 107ბ ბ. 30

ორგანიზაცია:
- შპს ნიუ დეველოფმენტ გრუპ კოდი: 405031790

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის #1260744 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 30 დეკემბერს #AR1275881 განცხადებით მომართა შ.პ.ს. „ნიუ დეველოპმენტ გრუპის“ დირექტორმა კახაბერ ადეიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 13 მაისის #1260744 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის #1260744 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძე–ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, შპს ,,ნიუ დეველოპმენტ გრუპ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.14.15.001.260) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე ექსპლიკაციაში არასწორად არის დაფიქსირებული ბინების საერთო ფართი, თუმცა აღნიშნული არ იწვევს ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტეტურულ პროექტს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია და წარმოდეგნილი გეგმები უნდა დაერთოს შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შ.პ.ს. „ნიუ დეველოპმენტ გრუპის“ დირექტორის კახაბერ ადეიშვილის 2014 წლის 30 დეკემბერის #AR1275881 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება და დამატება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის #1260744 ბრძანებაში, კერძოდ, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების (II-X ტიპიური სართულის გეგმა, მანსარდის გეგმა +32.80 ნიშნულზე) PDF ფაილები შეიცვალოს წარმოდგენილი გეგმების (II-X ტიპიური სართულის გეგმა, მანსარდის გეგმა +32.80 ნიშნულზე) PDF ფაილებით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის #1260744 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.